პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---აპრილი 2017 წელი

ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლიხაურის ქუჩის შესახვევისთვის მწერლისა და დრამატურგის კიტა ბუაჩიძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) საბურთალოს რაიონში, ლიხაურის ქუჩის შესახვევს (შესახვევი ჩამოყალიბდა ქუჩად) მიენიჭოს მწერლისა და დრამატურგის კიტა ბუაჩიძის ქუჩის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

X:480,720.885
Y:4,618,512.020
X:480,716.423
Y:4,618,472.734
X:480,702.648
Y:4,618,412.037
ვიტა ბუაჩიძის ქ.
X:480,739.748
Y:4,618,299.192

02/399

ქალაქ თბილისის საკრებულოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეთა კომისიის თავმჯდომარეს ქ-ნ ლია ჩუხუჯიანს

ქალაქ თბილისის მერიის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელშეწყობით აღინიშნა მწერალ–პუბლიცისტის კიტა ბუაჩიძის საიუბილეო თარიღი, ბუაჩიძეების საგვარეულო დიდ მადლობას მოგახსენებთ.

მოგმართავთ თხოვნით ქალაქ თბილისში ერთ–ერთ ქუჩას ეწოდოს კიტა ბუაჩიძის სახელი.

ბუაჩიძეების საგვარეულოს სახელით

კავშირის თავმჯდომარე: /კარლო ბუაჩიძე/

10.11.15 წელი

მის. აფენილი 26

ტელ: 595 56-47-23

20446

11 ნოემბერი 15

ბაღის ქ.

მდებარეობა: დიდუბის რაიონი, წერეთლის გამზირიდან გამოფენის მიდამოებში, სამტრედიის ქუჩით. (გვ. 22).

ბერბუკის ქ.

მდებარეობა: საბურთალოს რაიონი, სპორტის სასახლის გვერდით. ტყვარჩელის ქუჩით. (გვ. 24).

განაპირა აღმართი

მდებარეობა: მთაწმინდის რაიონი, თავისუფლების მოედნიდან, ლეონიძისა და იაშვილის ქუჩებით. ამაღლების ქუჩის ბოლოს. (გვ. 32).

მუხათის შესახვევი

მდებარეობა: კრწანისის რაიონი, ბაგრატიონის ძეგლთან, გრიშაშვილის ქუჩიდან, ცურტაველის ქუჩის დასაწყისში, ხელმარცხნივ (გვ. 102).

რკინის რიგი

მდებარეობა: კრწანისის რაიონი, მეტეხის ხიდსა და სიონის ეკლესიას შორის, ლესელიძის ქუჩის პარალელური მტკვრის სანაპიროსაკენ. (გვ. 118).

საბადურის ქ.

მდებარეობა: ისნის რაიონი, მეტრო „300 არაგველის" უკან. წინანდლის ქუჩის გადამკვეთი (გვ. 121).

ტეხურის ქ. (ყოფილი ჭაობის)

მდებარეობა: ვაკის რაიონი, საბურთალო; გამსახურდიას გამზირიდან მეტრო „პოლიტექნიკური უნივერსიტეტთან". იყალთოს ქუჩის ბოლოდან, ფანასკერტელი–ციციშვილის ქუჩის დასაწყისში (გვ. 133).

ტარიელის ქ.

მდებარეობა: მთაწმინდის რაიონი, ოპერის მოპირდაპირე მხარეს. ალ.ჭავჭავაძის ქუჩიდან ხელმარჯვნივ, ოძელაშვილის ქუჩით, ცხუმის ქუჩაზე ბოლო შესახვევი ხელმარცხნივ (გვ. 132).

ტრანსპორტის ქ.

მდებარეობა: დიდუბის რაიონი, წერეთლის გამზირის ბოლოდან მეტრო „დიდუბისაკენ" (გვ. 135).

ტყის შესახვევი ქ.

მდებარეობა: მთაწმინდის რაიონი, ოპერის მოპირდაპირე მხარეს, ალ.ჭავჭავაძის ქუჩის ბოლოში (გვ. 136).

წინაუბნის ქ.

მდებარეობა: საბურთალოს რაიონი, სპორტის სასახლის მოპირდაპირე მხარეს მდებარე დოლიძის ქუჩიდან. შესახვევი ხელმარჯვნივ. (გვ. 167).

ხაზინის ქ.

მდებარეობა: მთაწმინდის რაიონი, ქაშუეთის ეკლესიის ქვემოთ, 9 აპრილის ბაღის ქვედა ნაწილთან (გვ. 22).